








ბატონო ბესიკ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს სასოფლო დარბაზის ერთობლივი ძალისხმევით სოფელ გრიგოლეთში განხორციელდა პროექტი „გურიის რეგიონის სამკურნალო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა გრიგოლეთის სანაპირო ქვიშის მაგნიტური ანომალიის რუკის ფორმირების საფუძველზე“. პროექტის შედეგმა, კერძოდ კი, გრიგოლეთის სანაპირო ქვიშის მაგნიტური ანომალიის დადასტურებამ განუზომლად გაზარდა დასახლების სამკურნალო ტურიზმის პოტენციალი და შესაძლებლობები.

2016 წელს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა „2017-2021 წლების გრიგოლეთის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული სტრატეგიული გეგმა“. გამომდინარე დამდგარი მოცემულობიდან, მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ სტრატეგიის დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის განხორციელება და დამტკიცება. შესაბამისად, როგორც საკრებულოს წევრები, შემოვდივართ წინადადებით, საკრებულოში შეიქმნას „2017-2021 წლების გრიგოლეთის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული სტრატეგიულ გეგმაში“ ცვლილებების შეტანაზე ორიენტირებული დროებითი სამუშაო ჯგუფი, საკრებულოს წევრებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით. ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისა და გეგმაში ცვლილებების პროექტის წარმოდგენის შემდეგ, საკითხი გამოტანილი უნდა იქნას საკრებულოს სხდომაზე გეგმაში ცვლილებების განკარგულების სახით დასამტკიცებლად.

საკრებულოს წევრები:

- ამირან გიგინეიშვილი 
- ალექსანდრე მახათაძე 
- გიორგი ჩახვაძე 
- ვერიკო კვიციანი 
- გიორგი გვარჯალაძე 
- ზურაბ კუკულავა 
- ბესიკ კუპრაძე 

139
01 04 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2019 წლის აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

გამომდინარე, გრიგოლეთის სანაპირო ზოლში ქვიშის მაგნიტური ანომალიის დადასტურებისა, რის გამოც განუზომლად გაიზარდა დასახლების სამკურნალო ტურიზმის პოტენციალი

და რათა მიღწეული იქნეს ხალხის ჯანმრთელობის რაც შეიძლება მაღალი დონე

ასევე, „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის N74 განკარგულებაში განსახორციელებელი ცვლილებების მნიშვნელობიდან,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. გრიგოლეთის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ამირან გიგინეიშვილი - დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

მუხლი 2. სათათბირო ხმის უფლებით დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრად მოწვეულ იქნას ----

მუხლი 3. დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიქმნას სამი თვის ვადით. ამ ვადაში სამუშაო ჯგუფის წევრებმა წარუდგინოს წინადადებების საკრებულოს სოფელ გრიგოლეთის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით.

მუხლი 4. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ ჯგუფის წევრებმა საკრებულოს წარადგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ და წინადადებები სოფელ გრიგოლეთის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით.

მუხლი 5. დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ უსასყიდლოდ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 7. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.